CAMERAL CENSUS IN BORCHALO DISTANCE IN 1817

ბორჩალოს დისტანციის 1817 წლის კამერალური აღწერა[1]

ALEKSANDRE BOSHISHVILI
PhD in History,
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179, Georgia,
+995 599 447 287
aleksandre.boshishvili@tsu.ge
https://orcid.org/0009-0003-1297-8671

Abstract

The last king of Kartli-Kakheti (Eastern Georgia) Giorgi XII died in 1800. The Russian Empire did not allow the new king to ascend the throne. In 1801, the kingdom of Kartli-Kakheti was abolished and incorporated into the Russian Empire. A new administrative unit was created – the Georgian Governorate (Russ. Грузинская губерния (Gruzinskaya Guberniya) The Guberniya was divided into small parts (Russ. Уезд (Uyezd), Дистанция (Distance).

The Russian Empire began to study the countrys potential from the very beginning. Economic and fiscal interests in newly acquired territories was essential. Under the conditions of the Russian Empire, the first census was conducted in the Georgian Governorate in 1803-1804. The census includes all settlements, population, national composition, etc.

The second census of 1816-1818 is more complete. It includes several Uyezds of Georgian Governorate (Uyezds of Gori, Tiflis, Telavi, Signakhi, also, Borchalo, Kazakhi and Shamshadilo distances).

The second census in Borchalo distance was in 1817. We have 6 manuscripts of Borchalo Discance censuses. The materials of the mentioned census are preserved in the National Archives of Georgia (Fund №254. Rec. 1. Case №479).

The census takes into account: Owners (landowner, State Treasury, Church) and their Peasants.

Borchalo distance – The village is named, then the population is listed. The list includes: the village Officials (in Geo., მამასახლისი (Мамасаклиси/Mamasakhlisi), ნაცვალი (Нацвали/Natsvali), Russ. Старшина/Starschina) etc.), the village Priest or Mullah, then the peasants. Owner in the family, name and surname for the Christian population, name and patronymic for the Muslim population. The number of people in the family is given by gender, nationality and the main occupation of the family.

Census did not refer to privileged society (Geo. თავადაზნაურობა (Tavadaznauroba); Rus. Дворянство (Dvorianstvo); armed forces and subjects of foreign countries. At that time, the main population was Peasantry (in Geo. გლეხობა (Glekhoba); Russ. Крестьянство (Krestyanstvo).

In 1817 census all nationalities living in Borchalo distance are included. Therefore, we see three nationalities (Georgians, Armenians, Tatars) that are included in the census. In the census – Georgians are – 817 (5%); Armenians – 5,486 (1,192 Surnames ended with the suffix *shvili* (7%), and 4,294 Surnames with the suffix *ov* (26%)); Tatars – 10172 (62%). Georgians are often written as Armenians and vice versa. Ossetians and Greeks, as they are Orthodox, are named as Georgians. In the population census of 1817, nationality is defined by religious affiliation, but not according to ethnical belonging or other criteria.

Surnames are given everywhere with the Georgian – *shvili* (or – *dze*) suffix. In certain parts Armenians have Russian – *ov* (rus. *ов*) suffix added to their patronymics. Tatars patronymics are given in

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR- 21-22519. რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში (ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის ცვლილებების პროცესი)]

the form – *ogli* (rus. огли), rarely in the form of Georgian – *shvili* and Russian – *ov*.

According to the second cameral census of 1817, the population of Borchalo distance was as follows: 3615 households, 16475 Souls. Peasant's Households were divided between landlords (Rus. Помещик (Pomeshchik) and the state. 2458 (68%) – belonged to the treasury; 1078 (30%) – landlords; 78+1 (2%) of the church.

Census of 1817 is important source to study the socio-economic status of the population of Georgia, ethnic composition, statistics etc.

Keywords: Borchalo Distance; Cameral Census**;** Georgian Governorate;

ალექსანდრე ბოშიშვილი
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, თბილისი, საქართველო
+995 599 447 287
aleksandre.boshishvili@tsu.ge
https://orcid.org/0009-0003-1297-8671

აბსტრაქტი

ქართლ-კახეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) უკანასკნელი მეფე გიორგი XII 1800 წელს გარდაიცვალა. რუსეთის იმპერიამ ახალ მეფეს ტახტზე ასვლის უფლება აღარ მისცა. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეული – საქართველოს გუბერნია (რუს. Грузинская Губерния), რომელიც დაყოფილი იყო მაზრებად და დისტანციებად (რუს. Уезд (უეზდ), Дистанция (დისტანცია).

რუსეთის იმპერიამ ქვეყნის პოტენციალის შესწავლა თავიდანვე დაიწყო. იმპერიამ ეკონომიკური და ფისკალური მიზნებით მოსახლეობისა და რესურსების პირველი აღწერა 1803-1804 წლებში ჩაატარა, აღწერა მოიცავდა ყველა დასახლებულ პუქნტს, მოსახლეობას, მათ ეროვნულ შემადგენლობას და აშ.

მეორე კამერალური აღწერა 1816-1818 წლებში ჩატარდა. იგი უფრო სრულყოფილია. აღიწერა საქართველოს გუბერნიის სხვადასხვა მაზრები (გორის, ტფილისის, თელავის, სიღნაღის, ასევე ბორჩალოს, ყაზახისა და შამშადილოს დისტანციები).

ბორჩალოს დისტანციაში კამერალური აღწერა 1817 წელს ჩატარდა. აღწერის მასალები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივის ფონდებში (ფ. 254. ანაწერი 1, საქმე №479). რომელიც წარმოდგენილია ერთ წიგნად აკინძული ექვსი ხელნაწერი ნუსხის სახით.

ბორჩალოს დისტანციის აღწერაში მონაცემები წარმოდგენილი ასეთი სახით: მოცემულია დასახლებული პუნქტი; მიწისა და გლეხების მეპატრონე (მემამულე, სახელმწიფო ხაზინა, ან ეკლესია); სოფლის მოხელეები (მამასახლისი (რუს. Мамасаклиси), ნაცვალი (რუს. Нацвали), ქევხა (რუს. Кевха), სტარშინა (რუს. Старшина); სოფლის მღვდელი, ან მოლა; შემდეგ გლეხების სია, სადაც, დასახელებულია კომლის უფროსის სახელი და გვარი ქრისტიანული მოსახლეობისთვის, სახელი და პატრონიმი მუსლიმი მოსახლეობისთვის. მონაცემებში მოცემულია ოჯახში სულთა რაოდენობა, სქესისა და ეროვნების მიხედვით. მოცემულია კომლის მთავარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციაც.

აღწერის დავთრებში, ერთეული შემთხვევების გარდა, შეტანილი არ არის პრივილეგირებული საზოგადოება (თავადაზნაურობა); შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები

და უცხო ქვეყნის ქვეშევრდომები. იმ დროს გადასახადის გადამხდელ ძირითად მოსახლეობას გლეხობა (რუს. Крестьянство) წარმოადგენდა.

1817 წლის აღწერისას ბორჩალოს დისტანციის მთელი მოსახლეობა განაწილებულია სამ ეროვნებაში (ქართველები, სომხები, თათრები). აღწერაში ქართველები იყვნენ – 817 სული (5%); სომხები – 5486 (აქედან 1192-ის გვარი *„შვილი“* სუფიქსით არის დაბოლოებული (7%), 4294 კი *„ოვი“* სუფიქსით (26%)); თათრები – 10172 (62%). თუმცა, ეროვნებებად განაწილება პირობითია. რადგან, მაგ. ქართველებს ხშირად წერენ, როგორც სომხები და პირიქითაც. ოსები და ბერძნები, რადგან მართლმადიდებლები არიან, ქართველებად მოიხსენიებიან. 1817 წლის ბორჩალოს დისტანციის მოსახლეობის აღწერაში, ეროვნება განისაზღვრება რელიგიური კუთვნილების მიხედვით და არა ეთნიკური წარმომავლობის ან სხვ. კრიტერიუმების მიხედვით.

ბორჩალოს დისტანციის აღწერაში გვარები ყველგან მოცემულია ქართული – *შვილი* (რუს. *швили*) (ან – *ძე*) სუფიქსით. სომხების ნაწილს რუსული – *ოვ* (რუს. *ов*) სუფიქსი აქვს დამატებული. თათრები პატრონიმ – *ოღლის (რუს. оглы)*, იშვიათად ქართული – *შვილის* და რუსული – *ოვი* ფორმით.

მეორე კამერალური აღწერის მიხედვით, 1817 წლისთვის ბორჩალოს დისტანციის მთელი მოსახლეობა 3615 კომლი იყო და 16475 სულს შეადგენდა. კომლები განაწილებული იყვნენ მემამულეებსა და სახელმწიფოს შორის. 2458 (68%) – ხაზინის კუთვნილებას წარმოადგენდა; 1078 (30%), – მემამულეების; 78+1 (2%) ეკლესიის.

1817 წლის ბორჩალოს დისტანციის მოსახლეობის აღწერა მნიშვნელოვანი წყაროა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ეთნიკური შემადგენლობის, სტატისტიკისა და სხვ. შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; კამერალური აღწერა; ბორჩალოს დისტანცია; რუსეთის იმპერია;

შესავალი

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ (1800 წ.) რუსეთის იმპერიამ ახალ მეფეს ტახტზე ასვლის უფლება არ მისცა, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და იმპერიის ნაწილად გამოაცხადა. შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეული – საქართველოს გუბერნია, რომელიც, თავის მხრივ, მაზრებად და დისტანციებად იყოფოდა.

რუსეთის იმპერიამ საქართველოს პოტენციალის შესწავლა დაპყრობისთანავე დაიწყო. სწორედ ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკური და ფისკალური შესწავლის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე იმპერიის მესვეურები კამერალური აღწერების ჩატარებას XIX საუკუნის დამდეგიდანვე შეუდგნენ.

კამერალური აღწერები არასრულ, მაგრამ საკმაოდ ვრცელ მონაცემებს გვაძლევს. იგი კომლობრივად ეხებოდა მხოლოდ დასაბეგრ მოსახლეობას. ამასთან, მამრობითი სქესის მოსახლეობა აღირიცხებოდა ჩამოთვლით და ასაკის ჩვენებით, მდედრობითი სქესისა – ზოგიერთ აღწერაში, ასევე, ჩამოთვლითა სახელისა და ასაკის ჩვენებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი მხოლოდ საერთო რიცხვის მითითებით.

საქართველოში ჩატარებული კამერალური აღწერების შესახებ, არაერთი მკვლევარი დაინტერესდა (პ. გუგუშვილი, ვ. ჯაოშვილი, კ. ანთაძე, ე. ორჯონიკიძე, ი. შაიშმელაშვილი, რ. თოფჩიშვილი, ვ. გურული და სხვ.), მეცნიერთა მიერ წარმოებული დაკვირვებებმა მათსავე ნაშრომებში სათანადო ასახვა ჰპოვა. სტატიის წერის პროცესში მათმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია.

საქართველოში ჩატარებული კამერალური აღწერები, რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში წარმოებულ აღწერებთან (ეწ. „რევიზიებთან“) შედარებით, არასრულია. „რევიზიებში“ გაცილებით სრულყოფილი და დეტალური ცნობებია დაცული გლეხების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. საქართველოს გუბერნიაში ჩატარებული კამერალური აღწერების შემთხვევაში კი მთელი რიგი კითხვები საერთოდ არ არის შეტანილი, არ მოწმდება აღწერების შედეგად მიღებული ცნობები, გაპარულია უხეში შეცდომები. ხშირად საერთოდ ვერ ხერხდებოდა მთლიანი მოსახლეობის აღწერა და სხვა. ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, კამერალური აღწერების ცნობები საშუალებას გვაძლევს, დაახლოებით მაინც გავითვალისწინოთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარი ცვლილებები (თოფჩიშვილი, 2021; ორჯონიკიძე, 1960: 217; ორჯონიკიძე, სახვაძე (ქე); გუგუშვილი, 1949).

რუსეთის იმპერიის პირობებში პირველი აღწერა საქართველოს გუბერნიაში 1803-1804 წლებში ჩატარდა (ანთაძე, 1973: 28). მონაცემები დოკუმენტების სახით გამოქვეყნებულია (АКАК, 1868: 1046; АКАК, 1869: 714; გურული, 2017: 17). აღწერის მონაცემები მოიცავს ყველა დასახლებულ პუნქტს, მოსახლეობას, მათ ეროვნულ შემადგენლობას და ა.შ. იმ დროისთვის მთელი მოსახლეობის ოთხ მეხუთედს ქართველები შეადგენდნენ, ერთი მეხუთედი კი სხვა ეროვნებისა იყო. რუსეთის იმპერიის პირობებში ეს შეფარდება მუდმივად ქართველების საზიანოდ იცვლებოდა (ანთაძე, 1973: 87, 88, 91-94; ასევე იხ. გუგუშვილი, 1963: 74).

მეთოდები

ნაშრომი დაფუძნებულია, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივის ფონდებში დაცულ დოკუმენტებზე, რომლებიც საქართველოს გუბერნიაში ჩატარებულ მეორე კამერალური აღწერის (1816-1818) დედნებს წარმოადგენს. კვლევის პროცესში, ბორჩალოს დისტანციის აღწერის ნუსხები არქეოგრაფიულად დამუშავდა, ასევე, შედარდა ტექსტები და მასში მოცემული მონაცემები. ბორჩალოს დისტანციის 1817 წლის აღწერის მონაცემები შედარებულია მანამდე (1804 წ.) და მომდევნო (1832 წ.) კამერალური აღწერის მონაცემებს. შედარებითი მეთოდების გარდა, ნაშრომი ემყარება კომპლექსური კვლევის მეთოდის შედეგად მიღებულ დასკვნებს; ნაშრომში გათვალისწინებულია მსგავსი საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა გამოცდილება და მიღწევები. საკუთრივ ისტორიის გარდა, მნიშვნელოვანია ეთნოლოგიური და დემოგრაფიული კვლევების კვლევების გამოცდილება და აშ.

შედეგები

საკითხის შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ ბორჩალოს დისტანციის 1817 წლის აღწერის მასალები დაცული იყო 6 ნუსხის სახით, ყველა მათგანის შესწავლის შემდეგ, გაირკვა, რომ მთელი დისტანციის მოსახლეობა 1817 წლისთვის განაწილებული იყო 100-მდე დასახლებულ პუნქტში.

მაზრის მოსახლეობა შეადგენდა სოფლად მცხოვრებთ, ანუ მათ, ვისაც გადასახადის გადახდა ჰქონდა დაკისრებული. ისინი განაწილებული იყვნენ მემამულეებსა და სახელმწიფოს შორის. კომლების უმეტესობა, 2458 (68%), ხაზინის კუთვნილებას წარმოადგენდა; ნაწილი, 1078 (30%), – მემამულეების, ხოლო 78+1 (2%) ეკლესიასთან იყო ვალდებული.

მოსახლეობის ეთნიკური სურათის განსაზღვრა, მიუხედავად იმისა, რომ ბლანკი განსაზღვრავდა ეთნიკურ კუთვნილებას, მაინც დიდ სირთულეს წარმოადგენს. სათანადო ადგილას, ამის შესახებ ვრცლად არის აღნიშნული. 1817 წლის ბორჩალოს დისტანციის მოსახ-

ლეობა ეროვნების მიხედვით დაყოფილია ქართველებად, სომხებად და თათრებად. აღწერაში ქართველები იყვნენ – 817 სული (5%); სომხები – 5486 (აქედან 1192-ის გვარი *შვილი* სუფიქსით არის დაბოლოებული (7%), 4294 კი *ოვი* სუფიქსით (26%)); თათრები – 10172 (62 %). მეორე კამერალური აღწერის მიხედვით, 1817 წლისთვის ბორჩალოს დისტანციის მთელი მოსახლეობა 3615 კომლი იყო და 16475 სულს შეადგენდა.

მსჯელობა

საქართველოს გუბერნიაში 1816-1818 წლებში ჩატარებული კამერალური აღწერები

მეორე კამერალური აღწერა საქართველოს გუბერნიაში 1816-1818 წლებში ჩატარდა, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, უმეტესად, აღნიშნულია, რომ მეორე კამერალური აღწერა ჩატარდა 1816-1817 წლებში (იხ. გუგუშვილი, 1963; ანთაძე, 1973; გურული, I, 2017: 17 და სხვა), თუმცა რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა პროფ. იოსებ ალიმბარაშვილის ნაშრომი, სადაც გორის მაზრის 1818 წლის აღწერის მასალებია წარმოდგენილი (იხ. ალიმბარაშვილი, 2021: 204-482). შესაბამისად, მეორე კამერალური აღწერის თარიღები 1816-1818 წლებს შორის არის.

მეორე აღწერა შედარებით უფრო სრულყოფილია, ვიდრე მისი წინამორბედი. ამ პერიოდში აღიწერა საქართველოს გუბერნიის მაზრები და დისტანციები (გორის, ტფილისის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს, შამშადილოსა და ყაზახის). აღნიშნული აღწერების მასალები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ასევე, სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და სხვა. 1816-1818 წლების კამერალური აღწერის მასალები მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად; ასევე, ეთნიკური შემადგენლობისა და მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისთვის.

აღწერა, ერთეული შემთხვევების გარდა, არ ეხებოდა პრივილეგირებულ საზოგადოებას (თავადები, აზნაურები და სხვა მემამულეები); შეიარაღებულ ძალებსა და უცხო ქვეყნების ქვეშევრდომებს.

ძირითადი მოსახლეობას გლეხობა (რუს. Крестьянин) შეადგენდა. მათი დიდი ნაწილი სახელმწიფოს (ხაზინას) ეკუთვნოდა, ასევე, დიდი ნაწილი საბატონო, ანუ მემამულეების კუთვნილებაში იყო, ხოლო მცირე ნაწილი ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა.

ტფილისის მაზრა. დავთარში თავდაპირველად დასახელებულია სოფელი ან დასახლებული პუნქტი და მისი კუთვნილება (ხაზინის ან მემამულის), შემდეგ ჩამოთვლილია მოსახლეობა. მოცემულია: სოფლის მამასახლისი (რუს. Мамасаклиси), სოფლის მღვდელი, შემდეგ დანარჩენი კომლები. ოჯახები აღწერილია შემდეგი პრინციპით: დასახელებულია კომლის უფროსი, სახელი და გვარი; მოცემულია ოჯახის წევრების რაოდენობა – სქესის, ეროვნებისა და ოჯახის ძირითადი საქმიანობის მიხედვით. მაგ., „დიდუბის სახაზინო“, ... *„25. მამასახლისი, სოსია ბერელაშვილი, 2, 1“*, სადაც „2“ აღნიშნავს ოჯახში მამრობითი სქესის მცხოვრებთა რაოდენობას, ხოლო „1“ მდედრობითი სქესის რაოდენობას. სოსიას ოჯახის ძირითად საქმიანობას, ისევე როგორც სხვა მეზობლებისა, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №477, ფურ. 3).

სიღნაღის მაზრა. 1816-1818 წლების კამერალურ აღწერებს შორის ყველაზე სრულყოფილად, ალბათ, სიღნაღის მაზრის კამერალური აღწერა უნდა ჩაითვალოს. ცალ-ცალკეა აღწერილი და სხვადასხვა დავთრებია შედგენილი სახაზინო (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №499) და საბატონო გლეხებისთვის (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №478); აღწერაში დასახელებულია სოფელი, შემდეგ ჩამოთვლილია მოსახლეობა: სოფლის მამასახლისი (რუს. Мамасаклиси) ან ნაცვალი (რუს. Нацвали) ან ორივე; სოფლის მღვდელი; გლეხების კომლები შემდეგი

პრინციპით: კომლის უფროსი, სახელი და გვარი, ასაკი, ოჯახის თითოეული წევრის სახელი, ასაკი (მეუღლე, შვილები, შვილების მეუღლეები, შვილიშვილები, ძმა და სხვა), ოჯახის წევრების რაოდენობა სქესის, ეროვნებისა და ოჯახის ძირითადი საქმიანობის მიხედვით. სიღნაღის მაზრის აღწერა უფრო სრულყოფილ მონაცემებს შეიცავს (იხ. შაიშმელაშვილი, 1973). იგი წარმოდგენილია ორ ნაწილად. ერთში მოცემულია სახაზინო გლეხები, ხოლო მეორეში – საბატონოები.

მაგ., „სახაზინო სოფ. მირზაანი“. „45. იოსებ ფიროსმანაშვილი; ცოლი – ნინო; შვილი – გრიგოლი; ასული – სონია; ღვიძლი ძმები: სოლომონი, გლახა და მოსე; სოლომონის ცოლი ნინო; ვაჟები – ქაიხოსრო და სიმონი; გლახას ცოლი ელენე; ასული კომიია (?); ქაიხოსროს ცოლი ქეთევანი“ და ა.შ. (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №499, ფურც. 338-364).

საბატონო სოფლების შემთხვევაში მემამულე დასახელებულია მათი წოდებისა და რუსეთის იმპერიის მიერ მინიჭებული ჩინების მითითებით („ლეიბ-გვარდიის როტმისტერი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე“ (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №478, ფურც. 4). ნადვორნი სოვეტნიკი თავადი სოლომონ მელიქოვი) (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №478, ფურც. 33). და აშ. დიმიტრი ორბელიანი სხვადასხვა ჩინით არის მითითებული („გენერალ ლეიტანანტი თავადი დიმიტრი ორბელიანი“, „ტიტულარნი სოვეტნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანი“). (დანართის სახით წარმოდგენილ მემამულეების სიაშიც იხ. ორივე ვარიანტი. ცხრილი №2). თავადებისა და აზნაურების გარდა, მებატონეებს შორის გვხვდებიან ტფილისელი მოქალაქეებიც (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №478, ფურც. 89, 208 და სხვ.).

გორის მაზრაში აღწერა 1818 წელს ჩატარდა. დავთარში შეტანილია საბატონო გლეხების მონაცემები. დასახელებულია კომლის უფროსის სახელი და გვარი, ეროვნება; მოცემულია ოჯახში სულთა რაოდენობა, ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონება, მათი ძირითადი საქმიანობა და შემოსავალი (გორის მაზრის 1818 წლის აღწერის მასალები (დაცულია სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში) შესწავლილი აქვს პროფ. ი. ალიმბარაშვილს. იხ. ალიმბრაშვილი, 2021: 204-482 და სხვ.).

საქართველოს გუბერნია, სადაც თურქულენოვანი და მომთაბარე ცხოვრების მიმდევარი მოსახლეობა იყო (საქართველოს ტერიტორიაზე მათი გადმოსახლების ისტორიის შესახებ ვრცლად იხ. ბოშიშვილი, 2020), ადმინისტრაციულად მაზრის ნაცვლად დისტანციაში (რუს. Дистанция) გაერთიანდა. ამ დროს არსებობდა ბორჩალოს, შამშადილოსა და ყაზახის დისტანციები, სადაც კამერალური აღწერები ასევე 1817 წელს ჩატარდა.

ბორჩალოს დისტანციის კამერალური აღწერა

ბორჩალო დისტანციაში აღწერა 1817 წელს ჩატარდა. ერთ დავთარშია შეტანილი სახელმწიფო (სახაზინო) და მემამულეების კუთვნილი კომლები. აღწერის დავთარში დასახელებულია სოფელი; მისი კუთვნილება მემამულესა და სახაზინოსთან მიმართებაში. შემდეგ მოსახლეობის ჩამონათვალია წარმოდგენილი. მოცემულია სოფლის მოხელეები: მამასახლისი, (რუს. Мамасаклиси), ნაცვალი (რუს. Нацвали), ქევხა (რუს. Кевха), გზირი (რუს. Кзир) ან სტარშინა (რუს. Старшина), სასულიერო პირები (არქიმანდრიტი (რუს. Архимандрит)), მღვდელი (რუს. Священник) ან მოლა (რუს. Мулла); შემდეგ გადასახადის გადამხდელი კომლების სიაა ასეთი თანმიმდევრობით: ქრისტიანული მოსახლეობისთვის – კომლის უფროსის სახელი და გვარი; მუსლიმი მოსახლეობისთვის – სახელი და პატრონიმი (მამის სახელი). ოჯახის წევრების რაოდენობა მოცემულია სქესის, ეროვნებისა და ოჯახის ძირითადი საქმიანობის მიხედვით. გვაქვს აღწერის 6 ხელნაწერი.

ეროვნების საკითხი ბორჩალოს დისტანციის აღწერაში. ბორჩალოს დისტანციის მოსახლეობა განაწილებულია ეროვნების მიხედვით. ჩამონათვალში, ხელით გაკეთებულ ფორმაში (ბლანკზე), წარმოდგენილია სამი ეროვნება: ქართველები (რუს. Грузины), სომხები (რუს. Армяне) და თათრები (რუს. Татары). აღწერაში ეროვნების გრაფა რეალურ სურათს

ვერ ასახავს, რადგან ქვემო ქართლში ქართველების, სომხებისა და თათრების გარდა, კიდევ ცხოვრობდნენ სხვა ეროვნებისა და განსხვავებული კონფესიის წარმომადგენლები. მაგ., ბერძნები, ოსები; ქართველები, რომლებიც სომხური ეკლესიის მრევლი იყვნენ; ასევე, თათრებში გაერთიანებულია ყველა მუსლიმი, რომელნიც სხვადასხვა თურქულენოვანი ტომის წარმომადგენლები იყვნენ და სხვა.

XIX საუკუნეში (უფრო ადრეულ წყაროებშიც), თათრებად მოიხსენიებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მუსლიმ მოსახლეობას. ეს ტერმინი წარმოადგენდა მათ თვითსახელწოდებასაც. შესაბამისად, ამიტომ არის თათრად წოდებული ბორჩალოს დისტანციაში მცხოვრები ყველა მუსლიმი.

ბორჩალოს დისტანციის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სომხური ეკლესიის მრევლს წარმოადგენდა, წარმომავლობის მიუხედავად, სომხებშია გაერთიანებული (საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ბოშიშვილი, 2020: 197-213).

ქართველების რიცხვში არიან დამატებული ბერძნები. მათი რაოდენობა ბევრი არ უნდა იყოს, თუმცა მაინც აღსანიშნავია. მაგ., სოფ. უზუნლარში მცხოვრებთა შორის შეტანილია რამდენიმე ბერძნული კომლი, რადგან ისინი მართლმადიდებლები არიან, შესაბამისად, ქართველებში არიან ჩათვლილი („758. ბერძენი აბოს... აბრამოვი“ (რუს. 758. Грек Абос ... Абрамов), „765 ბერძენი იორ იოველოვი“ (რუს. 765. Грек Иоръ Иовелов), „768. ბერძენი ირაკლ...“ (რუს. 768. Грек Иракл...), „774. ბერძენი ... კასტანოვი“ (რუს. 774. Грек ... Кастанов) (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 107-108).

ამ ფაქტების გათვალისწინებით ნათელია, რომ 1817 წლის მოსახლეობის აღწერისას ეროვნებები ითვალისწინებს რელიგიურ-კონფესიურ კუთვნილებას და არა ეროვნებას, წარმოშობის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

საქართველოში მანამდე არსებული ტრადიცია არ ითვალისწინებდა მოსახლეობის ეროვნების მიხედვით აღწერას. ქართლ-კახეთის სამეფოში მკვიდრად მცხოვრები მოსახლეობა 7 წელიწადში ერთხელ, ხოლო მომთაბარე ცხოვრებით დაკავებულები – 3 წელიწადში ერთხელ აღიწერებოდა (თაბუაშვილი, 2010: 119-125; ბოშიშვილი, 2020: 137-138; და სხვ.).

გვარები. ბორჩალოს დისტანციის აღწერაში ქრისტიანი მოსახლეობის გვარების დიდი ნაწილი მოცემულია ქართული (*შვილი* ან *ძე)* სუფიქსით. სომხების ნაწილში რუსული *ოვი* (რუს. *ов*) დაბოლოებაც გვხვდება (რუს. Вартанов, Арутинов, Алавердов (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 102-105.) და ა.შ.). რუსული სუფიქსით გვხდება ახალციხის საფაშოდან გორის მაზრაში გადმოსახლებული ქართველი კათოლიკეების გვარებიც (ვრცლად იხ. თოფჩიშვილი, 2021: 24-25).

ამავე, 1817 წლის აღწერაში დასახელებულია არაერთი ქართველი, რომლებიც სომხებშია მითვლილი, მაგ., დათია მჭედლიშვილი, ნინია კეკელაშვილი (რუს. Датиа Мчеделашвили; Нониа Кекелашвили (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 39, 76), ბერძენა ბერიძიშვილი (რუს. Берзена Беризи швили (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 39, 216) და სხვები. შესაძლოა, იყოს პირიქითაც, როდესაც სომხებია ქართველებში მითვლილი. თუმცა მთელ აღწერაში სომხების გარკვეული ნაწილი წარმოდგენილია სუფიქსით *შვილი* (რუს. Мнацака швили, Аслана швили, Казара швили, Казаха швили, Погоса швили) (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 121-122). დაჯამებისას ასეთი შემთხვევები ცალკეა წარმოდგენილი. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მხოლოდ გვარის სუფიქსით ესა თუ ის პიროვნება რომელიმე ეროვნებას მივაკუთვნოთ, ეს შეუძლებელი იქნება. მაგ., სოფ. ყორფილას მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გვარები (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 24-25; 60-62; 199; 241-242) მთლიანად ქართული *შვილი* (რუს. *Швили)* დაბოლოებით არის მოცემული. თუმცა სამი მათგანი (საერთო სიით 540-543), მღვდელი ტერ გრიკურ ტერ აპრიამოვი (რუს. Священник Тер Грикур Тер Априамов), მისი ძმა ასატური (რუს. брат его Асатур), მეორე ძმა ბაბაი (რუს. брат его Бабай) გვარის ქართული სუფიქსით არ არიან წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ცოტა ხნით ადრე ერევნიდან არიან

ჩამოსული. დავთარში ეს გარემოება სათანადოდ არის აღნიშნული – სამივე მათგანს საერთო სათაური აქვს მიწერილი – ერევნელები (რუს. Ереванских). ასევე, სოფ. გაჯალი, ვართან მჭედლიშვილი (რუს. 467. Вартана Чедли швили) (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 96).

ზემოთ აღწერილ უზუნლარში მცხოვრები ბერძნების გვარებიც რუსული *ოვ* (რუს. *ов*) სუფიქსით არის წარმოდგენილი. ამ სოფლის სახაზინო ყმების გარკვეულ ნაწილს მიწერილი აქვს, რომ ერევნიდან არიან (რუს. Ереванский). ეს კი იმას მიუთითებს, რომ შედარებით ახალი გადმოსახლებული არიან ერევნის მხრიდან.

თათრების კომლები დასახელებულია ოჯახის უფროსისა და მისი მამის სახელის მიხედვით, *ოღლი* (რუს. *огли*). ამ შემთხვევაში გვარები არ გვაქვს. შესაძლოა, ამ აღწერის ან მოგვიანო აღწერების შემდეგ უკვე მიიღო გვარის სახე კონკრეტული პიროვნების სახელმა და ჩანაწერის მონაცემები გაგრძელდა, როგორც გვარის წარმოება. თუმცა აქ მსგავსი შემთხვევები არ ჩანს. სახელები სიებში შეტანილია *ოღლის* (რუს. *огли)* ფორმით, დასახელებულია ჯერ მამის სახელი, შემდეგ ოჯახის უფროსი (მაგ., ქადირ ოღლი აჰმედი (რუს. Кадир огли Ахмед); ბადურ ოღლი პადირი (რუს. Бадур огли Падир), ალი ოღლი მუსტაფა (რუს. Али огли Мустафа) და ა.შ.). შესაბამისად, სიებში მოცემული ფორმა გვარი არ არის და ცალსახად მამის სახელზე უნდა მიუთითებდეს (პატრონიმი). მით უმეტეს, რომ კამერალურ აღწერებში ყველა სხვა შემთხვევაში მოცემულია ჯერ სახელი და შემდგომ გვარი, აქ კი პირიქით.

თათრებს შორის იშვიათად რუსული *ოვი* და ქართული *შვილიც* დასტურდება. ზოგი მათგანი აღწერაში წოდების მიხედვით არის შეტანილი, მაგ., სოფ. არიფლოში აზნ. ნინია კაბაევის ყმებს შორის დასახელებულია „სტარშინა ვექილ აგურხან აღა“ (რუს. Старшина Векил Агурхан Ага) (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფ. 254. ანაწერი 1, საქმე №479, ფურც. 88); ბაიდარის მცხოვრებ სახაზინო ყმებში: „სტარშინა ალმაზ სულთანი (რუს. Старшина Алмаз Султан), ჩაუშ მაჰმად აღა (რუს. Чауш Магмад Ага) და სხვა.

იშვიათად, ერთეულ შემთხვევებში გვხვდება გვარი *ოვი* (რუს. *ов*) სუფიქსით, როდესაც შედარებით მაღალი საზოგადოების წევრს ეხება საქმე, მაგ., ედიგაროვი (რუს. Едигаров). არის ასევე *სკი* (რუს. *ски*) სუფიქსით დაბოლოებული რამდენიმე პიროვნება, მაგ., ყარაფერილსკი მუსტაფა (რუს. Караперилски Мустафа) (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 89), თუმცა აქ შეიძლება მუსტაფას კონკრეტული ადგილიდან წარმომავლობას მიუთითებდნენ და არა მაინც და მაინც გვარს.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფები და სტატუსის აღმნიშვნელი ტერმინები. გადასახადის გადამხდელი კომლები დაყოფილია რამდენიმე კატეგორიად. კომლები, რომელნიც ცხოვრობენ ბორჩალოს მაზრაში და კომლობრივი გადასახადი აკისრიათ, მათ შორის არიან თავადებიც, აზნაურებიც, აბსოლუტურ უმრავლესობას კი გლეხობა წარმოადგენს. აღწერაში გლეხი რუსული თარგმანით, რუსეთის იმპერიაში გავრცელებული ტერმინით **„კრესტიანინ“** (რუს. Крестьянин) არის მოცემული.

„ბედნი“ (რუს. Бедный) – ტერმინის პირდაპირი ქართული თარგმანია საწყალი, ღარიბი, ღატაკი, გაჭირვებული, ხელმოკლე, საბრალო, საცოდავი (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1993: გვ. 34). ბორჩალოს დისტანციის 1817 წლის აღწერაში მოხსენიებული რუსული ტერმინი უნდა შეესაბამებოდეს მანამდე ქართულ დოკუმენტებში (ჯავახიშვილი, 1967) მოხსენიებულ „შეუძლებელს“, რომელიც სოციალურად ეკუთვნოდა გლეხების იმ ნაწილს, რომელსაც გადასახადის გადახდა არ შეეძლო. 1817 წლის აღწერაშიც უმეტესად მოცემულია ქვრივისა (რუს. Вдова) და ობლების (რუს. Сирота) ოჯახები, ასევე, გადასახადების გადახდის შეუძლებელნი და ყველაფერის უქონელნი. „ბედნის“ კიდევ ერთ ქართულ ტერმინ „ბოგანოსთან“ დაკავშირება უფრო ნაკლებად სავარაუდებელია. მანამდელი ბოგანოები 1817 წლისთვის უკვე განაწილებულნი იქნებიან, როგორც გადასახადის გადამხდელ კომლებში, ისე „ბედნებში“.

„სლუჟიტელი“ (რუს. Служител) – ამ პერიოდში წარმოადგენს მსახურს (თარგმანის შესახებ იხ. რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1993: 699), რომელსაც ბეგარის გადახდა ბატონის სამსახურით ევალება (მემამულის სახლში მუშაობა და მოსამსახურეობა; მემამულის დავალებით სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობა და ა.შ.).

აღწერაში დასტურდება კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც შეიძლება იმდროინდელ ქართულ სოციალურ კატეგორიასთან – **„ხიზნებთან“** გავაიგივოთ. კომლების გარკვეულ ნაწილს აღნიშნული აქვს, რომ ესა თუ ის პიროვნება გადმოსულია სხვა სოფლიდან (მუღანლოელები; შინიხელები; სარვანელები და ა.შ.). ზოგიერთ შემთხვევაში გადმოსულებს შორის დასახელებული არიან უცხო მხარეებიდან მოსულებიც (ყარაბაღელები, ერევნელები, განჯელები და ა.შ.). მაგ., სოფ ქოსალიში კომლებს შორის დასახელებულია შამშადილოელი – 1 კომლი, სარვანელი – 1 კომლი; ყაზახელი – 4 კომლი; კაპანახჩელი – 1 კომლი (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 8); სოფ. ყორფილაში, ერევნელები – 3, ყარაბაღელები – 5 (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 25) და ა.შ. როგორც აღწერიდან ჩანს, ეს კატეგორია სოციალურად უკეთეს პირობებშია, ვიდრე „შეუძლებელის“ ან „მსახურების“ კომლები.

მემამულეები. აღწერაში მემამულეებად დასახელებულია სამეფო ოჯახის წევრი (თეკლა ბატონიშვილი (1776-1846), აგრეთვე, თავადები: ბაგრატიონი, ბარათაშვილი, ორბელიანი, ანდრონიკაშვილი, ჭავჭავაძე, მელიქიშვილი, ამილახვარი, ჭავჭავაძე, აბაშიძე, თარხნიშვილი, არღუთაშვილი და სხვა. გარდა ამისა, მემამულეებად დასახელებული არიან ქვემო ქართლის აზნაურები (საგინაშვილი, ყორღანაშვილი, ქალანთრიშვილი და სხვა); XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში, ძირითადად, ბორჩალოს დისტანციის ტერიტორიაზე, თავისი ხალხით დასახლებული მელიქების ოჯახები (მელიქ შაჰნაზარი, მელიქ ბაგრავი, მელიქ შამიროვი და სხვა); ასევე, ზოგიერთი თურქმანული ტომის სულთნის ოჯახის წევრები (ალმაზ სულთანოვი, აღა სულთანოვი და სხვა); სხვადასხვა სოფლის სოციალურად დაწინაურებული სტარშინების (უხუცესების) შვილები, იმ დროს უკვე აზნაურების (რუს. Дворянин) რანგში (გამაზოვი, ედიგაროვი, რაბიევი და სხვა).

მემამულეების გვარები აღწერაში რუსული დაბოლოებით არის მოცემული. ეს იმდროინდელ საქართველოში გავრცელებული ტენდენცია იყო. რუსულად დაწერის შემთხვევაში, როგორც წესი, გვარს წერდნენ *ოვი* სუფიქსით (ბარათოვი, ანდრონიკოვი, მელიქოვი: რუს. Баратов; Андроников; Меликов) და ქართულად დაწერის დროს *შვილით* (ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი, მელიქიშვილი). ეს ტენდენცია მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ახასიათებდა წარჩინებული საგვარეულოების წარმომადგენლებს. ამიტომ ქვემოთ მემამულეების სიაში გვარები შეტანილია ქართული სუფიქსით, ისე როგორც დაიწერებოდა დოკუმენტის ქართულ ენაზე შედგენის შემთხვევაში.

გვაქვს ასეთი შემთხვევა, რომ სოფლის სათაურის შემდეგ დასახელებულია მებატონე „თავადი ივანე ბარათოვის გლეხები“. თუმცა შემდგომ გრძელდება „სახაზინო“. როგორც ჩანს, ისინი ამ დროს უკვე სახაზინოები არიან. აშკარაა, რომ ეს კომლები ადრე ბარათაშვილის ყმები იყვნენ და აღწერის დროს სახაზინოში არიან ჩათვლილნი (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 24; 60; 108: კომლები საერთი ნუმერაციით 504-514. სულ 11), შესაბამისად, ჩვენც სახაზინოების რიცხვში შევიტანეთ. თუმცა თავადი ივანე ბარათაშვილი (0 გლეხით), ბორჩალოს დისტანციის მემამულეებს შორის სიაში სათანადოდ მაინც აღინიშნა (იხ. ცხრილი №2).

ბორჩალოს დისტანციის აღწერის ხელნაწერების შესახებ

ბორჩალოს დისტანციის 1817 წლის სახაზინო და მემამულეების საბატონო კომლების აღწერის დავთარი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479). სოფლების თანმიმდევრობის მიხედვით აღწერა ორ ნაწილად

არის გაყოფილი. პირველ ნაწილში მოცემულია პირველი 23 სოფელი, ხოლო მეორე ნაწილში – დანარჩენი სოფლები. კანცელარიის თანამშრომლებს აღწერის პირველი ნაწილის რვეულების შავი და თეთრი ვარიანტებისთვის (ოთხი ნუსხა) მიუნიჭებიათ №12; ხოლო სადაც მეორე ნაწილის სოფლებია აღწერილი (ორი ნუსხა), იმ ნაწილებისთვის – №13. ყველაფერი კი, ანუ ბორჩალოს დისტანციის აღწერის 1817 წლის მთელი მასალები ერთ წიგნად არის აკინძული. თუმცა რეალურად იგი წარმოადგენს აღწერის ექვს ნუსხას/ვარიანტს. ყველა მათგანი სტატიისთვის პირობითად, თანმიმდევრობის მიხედვით დავნომრე.

I ნუსხა (ფურც. 2-39) – წარმოადგენს აღწერის ყველაზე სრულ ვერსიას. არქივში დაცულ აკინძულ წიგნში იგი 2-39 ფურცლებზეა. სათაურად რუსულ ენაზე მიწერილი აქვს: „№12 ბორჩალოს 1817 წლის კამერალური აღწერა“ («№12, Камеральное описание Борчалинской 1817 года»). **I ნუსხაში** მოცემულია ბორჩალოს დისტანციის 23 სოფელი (ქოსალი, ნაზარლი, კაპანახჩი, ილმაზლი, ქარაქეშალი, ქეშალი, ყარაჯალარი, თაქლა, იმირასანი, ჭანდარი, ყორფილა, ლამბალი, ყულარი, იმირი, სამტრედო, ქვემო შეითანლი, ზემო შეითანლი, სადახლო, ჭოჭკანი, აქორისი, ჩელებლი, ენაგეთი და ბოგვი). იგი ყველაზე სრული ვერსიაა. მასში გათვალისწინებულია სხვა ნუსხების მონაცემებიც. **I ნუსხაში** თითოეულ გვერდზე მოცემულია კომლების სულადობრივი რაოდენობის დაჯამება. მცირე ხარვეზების მიუხედავად, მასში წარმოდგენილი მონაცემები სხვა ნუსხებთან შედარებით ყველაზე სრული უნდა იყოს.

II ნუსხა (ფურც. 40-76) – მოცემულია სათაურის გარეშე, ისევე როგორც I ნუსხა, II-ც 1817 წლის აღწერის ერთ-ერთ დასრულებულ ვერსიას წარმოადგენს. ის, თავის მხრივ, **V ნუსხიდან** (შავი) სარგებლობს.

III ნუსხას (ფურც. 76-175) სათაურად რუსულ ენაზე მიწერილი აქვს „ბორჩალოს დისტანციის 1817 წლის კამერალური აღწერა“ («Камеральное описание 1817 года Борчалинской дистанции, №13»). იგი 76-175 ფურცლებზეა წარმოდგენილი (თუმცა თავდაპირველი დანომვრით 1-99 ყოფილა). **III ნუსხა,** თავის მხრივ, წარმოადგენს **I ნუსხის** მონაცემების გაგრძელებას. მასში მოცემულია ბორჩალოს დისტანციის დანარჩენი 77 სოფელი (ბორჩალოს დისტანციაში სულ წარმოდგენილია 100 სოფელი). ჩამონათვალი იწყება 24-დან (ზემო სარალი, ქვემო სარალი, ტარკევანი, გამარაბჩი, ქვემო თულარი, ულაშლი, აღმამადლი, მამუდლო, ბარახლი, არიფლო, ყაჩაღანი, თაქალი, კუშჩი, კარახლი, ბაიზეთლი, შამალი, ყარადემურჩი, მემეია, ქვემო ტარკევანი, გაჯალი, აჯაყალა, ახილი, ბაითალი, კამულ ოღლი, ხანჯიგაზლი იმალუჯა, ჩალაბლი, შინიხი, უზუნლარი, დისიხი, მღართი, კარინჯი, ახპატი, კურთანი, სანაინი, მარნეული, სარვანი, ყიზილაჯლო, ქოლაგირი, არუხლო, პატარა მუღანლო, თათრების ქოლაგირი, ალავარი, ბეგლარი, ქურთლარი, ბაიდარი, გეურარხი, გულთაფა, მუღანლი, ლაჯბადინი, დიდი შულავერი, პატარა შულავერი, ყოშაქილისა, ხაჩინი, ბოლნისი, ჯინლი, კამირლი, სარაჩლი, თაშთეყულარი, კაპანახჩი, სანხოჯალი, ქვეში, დუმანისი, პოლკოვნიკლი, მიჯა, ვარდისუბანი, გორუნჯუკი, ყარათანი, ყარათაქლი, ბალაჯი, რაკევანი, მალალარი, კასუმლი, პოლკოვნიკლუ ყარაფერილი, ფახრალი, კონია ყოჯალი).

IV ნუსხა (ფურც. 176-216) – წარმოადგენს **I ნუსხის** ძირითად წყაროს. **I ნუსხაში** სწორედ **IV ნუსხიდან** არის აღებული მონაცემები და მას ეყრდნობა. ამის შესახებ კანცელარიის გადამწერის მიერ რუსულ ენაზე გაკეთებული სათაურიც მეტყველებს, სადაც აღნიშნულია, რომ ხელნაწერი წარმოადგენს №12-ის (ჩვენთვის I ნუსხა) შავ პირს («Черная Который есть оригиналъ под под. №12»).

V ნუსხა (ფურც. 218-252) – წარმოადგენს II ნუსხის შავ, თავდაპირველ, ვარიანტს. ის არასრული და ნაკლულია. აღწერაში შეტანილ კომლებთან დაკავშირებულ მონაცემებში არსებული ხარვეზების გარდა, მასში საერთოდ გამოტოვებულია რამდენიმე სოფელი (სადახლო, ჭოჭკანი, აქორისი, ჩელებლი, ენაგეთი, ბოგვი და ა.შ).

VI ნუსხა (ფურც. 253-368) – კრებულში გაერთიანებული VI ნუსხა («Черная Который есть оригиналъ под. №13») წარმოადგენს იმავე მონაცემების შავ პირს, რომელიც მოცემულია

მესამე ნუსხაში. VI ნუსხა არასრულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მასში დასახელებული სოფ. უზუნლარის შემდეგ მონაცემები არასრულად არის წარმოდგენილი. ფურც. 286-დან მხოლოდ კომლის უფროსების სახელებია ჩამოწერილი და აღარ არის მოცემული ინფორმაცია კომლებში არსებულ სულთა რაოდენობის შესახებ.

1804 წლის აღწერასთან შედარებით რამდენიმე დასახლება გამოტოვებულია, მაგ., ახტალა (რუს. Ахталис-мадани), სპილენძის მადანი (რუს. Спилендзис-мадани) და სხვ.

ჩანართების შესახებ. სოფ. ქოსალოს აღწერაში, მხოლოდ I ნუსხაში, თავში ჩაკერებულია რამდენიმე ფურცელი, რომელიც სხვა ადგილის აღწერის ნაწილი უნდა იყოს. ფრაგმენტი მოიცავს კომლების ორ სიას. ძნელი სათქმელია, წარმოადგენს თუ არა პირველი და მეორე ერთმანეთის გაგრძელებას. ერთი სია იწყება მე-5 ნომრიდან (5. ხოსრო ტერიშვილი; 6. ქიტესა დემეტრაშვილის ქვრივი; 7. გვიმრა ტერიშვილი; 8. გოგია წიქარიძე; 9. გიორგი არჩვაძის ქვრივი) (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 23), ხოლო მეორე – მე-6 ნომრიდან (6. ბიჟე გობოზაშვილი; 7. აღა გობოზაშვილი; 8. გადჟი გობოზაშვილი; 9. ბურუდჟი გობოზაშვილი) (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 4). ამ სიებში წარმოდგენილი პირები ბორჩალოს დისტანციის არცერთ სხვა სოფელში არ გვხვდება. ვინაიდან ეს ხალხი ბორჩალოს დისტანციის აღწერის სხვა ნუსხებშიც არ დასტურდება, შესაბამისად, დაჯამების დროს მათი რიცხოვნობა არც კანცელარიის მუშაკების მიერ არის გათვალისწინებული და არც ჩვენ ვითვალისწინებთ.

ბორჩალოს დისტანციაში მცხოვრები მაღალი სოციალური წარმოშობის პირები

სოფ. სანაინში პირველი 11 კომლი მაღალი სასულიერი პირები, თავადები და აზნაურები არიან (არღუთაშვილები, ქალანთარიშვილები და სხვ.). თუმცა საერთო სიაში ისინი მაინც ჩავთვალე, რადგან აღწერაში შეტანილი არიან სხვა გადასახადის გადამხდელებთან ერთად. დაჯამებულია მათი ოჯახის წევრების სულადობრივი შემადგენლობაც. ყველა მათგანს მიწერილი აქვს წარმომავლობის შესაბამისი ტიტული, თავადი (რუს. Князь) (იოსებ, დავით, ზურაბ, პაპა, ასლან არღუთაშვილები, გარდაცვლილი არღუთაშვილის მეუღლე შაჰისულთანი) (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 114; 295) ან აზნაური (რუს. Дворианин) (აღალო ქალანთარიშვილი) (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 114).

სოფელ შინიხში მცხოვრებ კომლებს შორის დასახელებული არიან აზნაურები. მაგ., საერთო ნუმერაციით 616-ე კომლი „მერაბ შავერდოვი“ სახაზინო კომლებს შორის არის დასახელებული, თუმცა იქვე მიწერილი აქვს, რომ ის აზნაურია (რუს. Дворианин) (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 102; 282).

დიდ შულავერში მოსახლეობის ჩამოთვლისას დასახელებული არიან მაღალი წარმომავლობის პირებიც (მელიქები) (მაგ., სოფლის სტარშინა მელიქ რუშან ქალანთაროვი; მელიქ აღაჯანი, მელიქ სარქისოვი (რუს. Старшина Мелик Рушан Калантаров; Мелик Агаджан, Мелик Саркисов); საერთო სიაში შეტანილია კიდევ რამდენიმე დაწინაურებული პიროვნება, მაგ., „1830. დადა სენასაროვი, აზნაური“ (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 144); „1831. სააკ სენასაროვი, აზნაური (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 145). სოფ. ბოლნისში მცხოვრებთა შორის დასახელებულია „სტარშინა მელიქ ბაგარ მელიქ ბეგლაროვი“ (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 153).

სოფ. ხაჩინში მცხოვრები „სტარშინა“ მელიქ ალავერდი ასან ჯალალიანისა და მისი ძმის რუსტამის კომლები და მათი ოჯახის ყველა წევრი ჩათვლილია თათრების რიცხვში, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა ყველა სომხებად არის ჩაწერილი (იხ. სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479, ფურც. 158-159). სტარშინასა და სოფლის მღვდლების გვარები რუსული *ოვ* სუფიქსით არის აღნიშნული, დანარჩენი მოსახლეობის გვარი *შვილზე* ბოლოვდება.

ბაიდარის ყოფილი სასულთნოს (ბაიდარის სასულთნოს შესახებ იხ. ბოშიშვილი, 2020: 121-127)) სოფლებში ცხოვრობდნენ ბაიდარის ყოფილი სულთნის ოჯახის წევრები.

მათ ძველი ტიტული უკვე გვარის ან სოციალური სტატუსის მისანიშნებლად აქვთ. დასახელებულნი არიან, როგორც „სულთანი“, ან „სულთანოვი“; ასევე, ადგილობრივ დაწინაურებულ ოჯახს წარმოადგენს ედიგაროვი და სხვ.

დასკვნები

ბორჩალოს დისტანციის 1817 წლის აღწერის მიხედვით, იმდროინდელი მოსახლეობა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, განაწილებული იყო 100-მდე დასახლებულ პუნქტში. სოფლის მოსახლეობა, ვისაც გადასახადის გადახდა ჰქონდა დაკისრებული, განაწილებული იყო მემამულეებსა და სახელმწიფოს შორის. კომლების უმეტესობა, 2458 (68%), ხაზინის კუთვნილებას წარმოადგენდა; ხოლო ნაწილი, 1078 (30%), – მემამულეების, ხოლო 78+1 (2%) ეკლესიასთან იყო ვალდებული.

მოსახლეობის ეთნიკური სურათის განსაზღვრა, მიუხედავად იმისა, რომ ბლანკი განსაზღვრავდა ეთნიკურ კუთვნილებას, მაინც დიდ სირთულეს წარმოადგენს. ზემოთ ამის შესახებ სათანადოდ არის აღნიშნული. 1817 წლის ბორჩალოს დისტანციის მოსახლეობა ეროვნების მიხედვით დაყოფილია ქართველებად, სომხებად და თათრებად. აღწერაში ქართველები იყვნენ – 817 სული (5%); სომხები – 5486 (აქედან 1192-ის გვარი *შვილი* სუფიქსით არის დაბოლოებული (7%), 4294 კი *„ოვი“*სუფიქსით (26%)); თათრები – 10172 (62 %). მეორე კამერალური აღწერის მიხედვით, 1817 წლისთვის ბორჩალოს დისტანციის მთელი მოსახლეობა 3615 კომლი იყო და 16475 სულს შეადგენდა.

ბორჩალის დისტანციაში 1817 წლისთვის, მანამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატება ჩანს (იხ. ცხრილი №6, 8). თუმცა 1832 წლის მონაცემებთან შედარებით, ბორჩალოს მოსახლეობაში მხოლოდ კომლობრივი მატებაა, ხოლო სულადობრივად, შემცირებულიც კი არის. 1832 წლის მონაცემებში კომლების მატება უნდა აიხნას, რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული მიგრაციული პროცესებით. რომელიც ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სწორედ XIX საუკუნის 20-იან წლებში განხორციელდა. ამ პერიოდში ახალი კოლონიები მოეწყო ვიურტემბერგიდან გადმოსახლებული შვაბებისა და ოსმალეთის პროვინციებიდან გადმოსახლებული ბერძნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალიმბარაშვილი, ი. (2021). *შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით.* გორი

ანთაძე, კ. (1973). *საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში (ისტორიულ დემოგრაფიული გამოკვლევა).* თბილისი.

ბოშიშვილი, ა. (2020). *ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა).* თბილისი.

ვ. გამრეკელი. ზ. ცქიტიშვილი (1973). 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის... სერია.* №1. თბილისი.

გუგუშვილი, პ. (1949). *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში.* ტ. I. თბილისი.

გუგუშვილი, პ. (1963). საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959). *„მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“.* ტ. XII-XIII. თბილისი.

გურული, ვ. (2017). *საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918).* წიგნი I. თბილისი.

თაბუაშვილი, ა. (2010). *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის.* თბილისი.

თოფჩიშვილი, რ. (2021). *XIX საუკუნის აღწერის დავთრები საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემების შესახებ.* თბილისი.

ორჯონიკიძე, ე. (1960). მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი).* ნაკვ. 33. თბილისი.

ორჯონიკიძე, ე., სახვაძე ა. კამერალური აღწერა, *ენციკლოპედია „საქართველო“.* https://georgianencyclopedia.ge/form/16676 (წვდომის თარიღი. 10.01.2024).

რუსულ-ქართული ლექსიკონი (1993). *რუსულ-ქართული ლექსიკონი.* შედგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ. სარედაქციო კოლეგია: რ. გაგუა, ნ. ვაჩნაძე, ლ. კაიშაური, ქ. ლომთათიძე, მ. მრევლიშვილი, ნ. საყვარელიძე. თბილისი.

შაიშმელაშვილი, ი. (1973). *ქიზიყი (სამეცნიერო–პოპულარული ნარკვევი).* თბილისი

ვ. ჯაოშვილი (1996). *საქართველოს მოსახლეობა. ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა.* თბილისი.

ჯავახიშვილი, ი. (1967). *საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები.* წ. I. დემოგრაფიული ძეგლები. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები. თბილისი.

АКАК (1868). *Акты, собранные Кавказской археографической комиссией*. Т. II. Под редакцией: А. П. Берже. Тифлис.

АКАК (1869). *Акты, собранные Кавказской археографической комиссией*.Т. III. Под редакцией: А.П. Берже. Тифлис.

Обозрение, IV (1836). *Обозрение российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях: произведенное и изданное по высочайшему соизволению*. IV. СПб.

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №477. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე. №477, «Камеральное описание тифлисского уезда 1817 года».

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №478. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე. №478, «Камеральное описание Сигнахского уезда. Помещики крестьянин. Составлено в 1817».

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №479. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალუ-

რი არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე. №479, «Камеральное описание Борчалинской дистанции казенных и помещичьих крестьян. составлено в 1817 г.»

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე №499. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე. №499, «Камеральное описание казенных крестьян Сигнахского уезда.1817».

REFERENCES:

alimbarashvili, i (2021). Shida kartlis (goris mazris) mosakhleoba XIX sauk'unis p'irvel otsts'leulshi rusuli k'ameraluri aghts'erebis mikhedvit [The population of Shida Kartli (Gori Uyezd) In the first twenty years of the 19th century according to Russian Cameral Censuses]. Gori.

antadze, k'. (1973) Sakartvelos mosakhleoba XIX sauk'uneshi (ist'oriul demograpiuli gamok'vleva) [The Population of Georgia in the 19th century (historical and demographic study)]. Tbilisi.

boshishvili, a. (2020). Kvemo kartlis etnik'uri da demograpiuli surati (ist'oria da tanamedrove mdgomareoba) [Ethnic and demographic condition in Kvemo Kartli (history and contemporary condition)]. Tbilisi.

V. Gamrek'eli. Z. Tskit'ishvili (1973). 1770 ts'lis demograpiuli nuskha [Demographic list of 1770]. Sakartvelos metsnierebata ak'ademiis matsne. Ist'oriis... Seria. №1 [Matsne – Proceedings of the Georgian Academy of Sciences. History... series. No. 1]. Tbilisi.

gugushvili, p'. (1949). Sakartvelosa da amierk'avk'asiis ek'onomik'uri ganvitareba XIX-XX sauk'uneebshi [Economic development of Georgia and Transcaucasia in the 19th-20th centuries]. T' I. [Vol. I] Tbilisi.

gugushvili, p'. (1963). Sakartvelos mosakhleoba 160 ts'lis mandzilze (1800-1959). „masalebi sakartvelos etnograpiisatvis" [Population of Georgia for 160 years (1800-1959). "Materials for the ethnography of Georgia."]. T' XII-XIII [Vol. XII-XIII.]. Tbilisi.

guruli, v. (2017). Sakartvelos akhali ist'oria (1801-1918). [New history of Georgia (1801-1918)]. Ts'igni I. [Book I] Tbilisi.

V. Jaoshvili (1996). Sakartvelos mosakhleoba [Population of Georgia]. Ist'oriul-demograpiuli da ek'onomik'ur-geograpiuli gamok'vleva. [Historical-demographic and economic-geographic research]. Tbilisi.

javakhishvili, i. (1967). Sakartvelos ek'onomik'uri ist'oriis dzeglebi. Ts'. I. Demograpiuli dzeglebi. Aghmosavlet sakartvelos XVIII sauk'unis khalkhis aghts'eris davtrebi. Tbilisi [Documents of the economic history of Georgia. Vol. I. Demographic documents. Census books of Eastern Georgia of the 18th century] Tbilisi.

orjonik'idze, e (1960). Masalebi telavis mazris glekhta diperentsiatsiis shesakheb XIX sauk'unis p'irvel nakhevarshi [Materials on the differentiation of peasants of Telavi Uyezd in the first half of the 19th century]. Masalebi sakartvelosa da k'avk'asiis ist'oriisatvis (msk'i) [*Materials on the history of Georgia and the Caucasus (MHGC)*]. Nak'v 33 [Vol. 33]. Tbilisi.

orjonik'idze, e. , sakhvadze a K'ameraluri aghts'era. entsik'lop'edia „sakartvelo" [Cameral Census. Encyclopedia "Georgia".] https://georgianencyclopedia. Ge/form/16676 (ts'vdomis tarighi. 10. 01. 2024).

rusul-kartuli leksik'oni (1993). Rusul-kartuli leksik'oni. Shedgenilia sakartvelos metsnierebata ak'ademiis enatmetsnierebis inst'it'ut'is mier [Russian-Georgian dictionary. Compiled by the Institute of Linguistics of the Georgian Academy of Sciences]. Saredaktsio k'olegia: r. Gagua, n. Vachnadze, l. K'aishauri, k. Lomtatidze, m. Mrevlishvili, n. Saq'varelidze. Tbilisi.

shaishmelashvili, i (1973). Kiziq'i (sametsniero-p'op'ularuli nark'vevi) [Kiziqi (scientific-popular essay)]. Tbilisi.

tabuashvili, a. (2010) Erek'le meoris ek'onomik'uri k'ontseptsiebi da repormebi kveq'nis mmartvelobis

modernizatsiisatvis [Erekle II's Economic Concepts and Reforms for the Modernization of State Governance]. Tbilisi.

topchishvili, r. (2021). XIX sauk'unis aghts'eris davtrebi sakartvelos etnoist'oriuli p'roblemebis shesakheb [19th century census books about the ethno-historical problems of Georgia]. Tbilisi.

AKAK (1868). Akty, sobrannye Kavkazskoĭ arkheograficheskoĭ komissieĭ. [Acts of the Caucasian Archaeographic Commission] T. II [Vol. II]. Pod redaktsieĭ: A. P. Berzhe. Tiflis.

AKAK (1869). Akty, sobrannye Kavkazskoĭ arkheograficheskoĭ komissieĭ [Acts of the Caucasian Archaeographic Commission]. T. III [Vol. III]. Pod redaktsieĭ: A. P. Berzhe. Tiflis.

Obozrenie, IV (1836). Obozrenie rossiĭskikh vladeniĭ za Kavkazom v statisticheskom, ėtnograficheskom, topograficheskom i finansovom otnosheniiakh: proizvedennoe i izdannoe po vysochaĭshemu soizvoleniiu. [Review of Russian possessions beyond the Caucasus in statistical, ethnographic, topographical and financial terms: produced and published by the highest permission]. IV. SPb. [St. Petersburg].

seastsa, p. 254, an. 1, sakme №477. Sakartvelos erovnuli arkivi, saist'orio tsent'raluri arkivi [National Archives of Georgia, Central Historical Archive], pondi 254, anats'eri 1, sakme. №477 [Fund 254, Rec 1, Case №477]. «Kameral'noe opisanie tiflisskogo uezda 1817 goda», "Cameral Census of Tiflis Uyezd in 1817"].

seastsa, p. 254, an. 1, sakme №478 Sakartvelos erovnuli arkivi, saist'orio tsent'raluri arkivi [National Archives of Georgia, Central Historical Archive], pondi 254, anats'eri 1, sakme. №478, [Fund 254, Rec 1, Case №478] «Kameral'noe opisanie Signakhskogo uezda. Pomeshchiki krest'ianin. Sostavleno v 1817», "Cameral Census of Signakhi Uyezd in 1817. The peasants of the landlords"].

seastsa, p. 254, an. 1, sakme №479. Sakartvelos erovnuli arkivi, saist'orio tsent'raluri arkivi [National Archives of Georgia, Central Historical Archive], pondi 254, anats'eri 1, sakme. №479, [Fund 254, Rec 1, Case №479], «Kameral'noe opisanie Borchalinskoĭ distantsii kazennykh i pomeshchich'ikh krest'ian Sostavleno v 1817 g.» ["Cameral Census of Borchalo Distnace in 1817". State peasants and landowners peasants)].

seastsa, p. 254, an. 1, sakme №499. Sakartvelos erovnuli arkivi, saist'orio tsent'raluri arkivi [National Archives of Georgia, Central Historical Archive], pondi 254, anats'eri 1, sakme. №499 [Fund 254, Rec 1, Case №499], «Kameral'noe opisanie kazennykh krest'ian Signakhskogo uezda 1817». [Cameral Census of Signakhi Uyezd in 1817". State peasants].

დანართები:

ცხრილი №1
ბორჩალოს დისტანციაში მცხოვრები კომლების რაოდენობა 1817 წელს

ბორჩალოს დისტანციაში მცხოვრები კომლების განაწილება				
კომლების საერთო რაოდენობა	სახაზინო	საბატონო	საეკლესიო	ეჩმიაძინის
3615	2458	1078	78	1



ცხრილი №2

ბორჩალოს დისტანციის მემამულეები, მათი კომლების რაოდენობა და განაწილება (1817 წ.)

#	ბორჩალოს დისტანციის მებატონეები და მათი კომლები	კომლი	„მეუმლეები“	„მსახური“	„ხიზანი“
1	ერეკლე მეფის ასული თეკლა	12			
2	გენერალ მაიორი კონსტანტინე ბაგრატიონი	15	7	3	3
3	თავადი დავით ბარათაშვილი (Баратов)	20			
4	თავადი დიმიტრი ბარათაშვილი	10			
5	თავადი ივანე ბარათაშვილი	0			
6	თავადი იოსებ ბარათაშვილი	1			
7	თავადი ანდრონიკაშვილი (Андроников)	1			
8	თავადი აბელ ანდრონიკაშვილი	10			
9	თავადი ადამ ანდრონიკაშვილი	2			
10	თავადი თომა ანდრონიკაშვილი	11	5	3	3
11	თავადი დავით ანდრონიკაშვილი	3			
12	თავადი ნინია ანდრონიკაშვილი	19			
13	თავადი ოსიპ ანდრონიკაშვილი	9	1	2	
14	თავადი რევაზ ანდრონიკაშვილი	6			
15	თავადი სოლომონ ანდრონიკაშვილი	3			
16	თავადი ასლან ორბელიანი (Орбелианов)	2			
17	პოდპოლკოვნიკი თავადი ლუარსაბ ორბელიანი	38	8		
18	პოდპორუჩიკი თავადი ლუარსაბ ორბელიანი	58	5	1	
19	თავადი გიორგი ორბელიანი	15	2	1	4
20	თავადი გიორგი ორბელიანი ძმებთან ერთად	17	6	1	
21	ზურაბ ორბელიანი	1			
22	იოსებ ორბელიანი	2			
23	სოლომონ ორბელიანი	1			
24	იაკობ ორბელიანი	1			
25	სამარაღდა ორბელიანი	1			1
26	თავადი ივანე ორბელიანი	5			
27	გენერალ ლეიტანანტი თავადი დიმიტრი ორბელიანი	83	48		5
28	ტიტულარნი სოვეტნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანი	42	19	7	2
29	კაპიტანი თავადი იოსებ მელიქიშვილი (Меликов)	31	15	2	
30	თავადი ნინია ავთანდილ მელიქიშვილი	15	15	4	
31	ნადვორნი სოვეტნიკი თავადი სოლომონ მელიქიშვილი	12	11	6	
32	თავადი გიორგი ციციშვილი (Цицианов)	44	6		
33	თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე (Чавчавадзев)	7			
34	თავადი გიორგი ამილახვარი (Амилахваров)	4			
35	პოდპოლკოვნიკი თავადი სოლომონ თარხნიშვილი (Тарханов)	16	2		6
36	თავადი მირმანოზ ერისთავი (Еристов)	12			
37	შიოშ თუმანიშვილი (Туманов)	2			
38	თავადი ზაალ აბაშიძე (Абашидзев)	25	11		
39	თავადი არღუთაშვილი (Аргутов/Аргутинский)	70	1		1
40	თავადი სოლომონ არღუთაშვილი	3			

41	თავადი დარჩია ბებუთაშვილი (Бебутов)	1			
42	აზნაური პაპუა და დიმიტრი საგინაშვილები (Сагинов)	4			
43	მელიქი შაჰნაზარი (Мелик Шахназаров)	3			
44	მელიქი ბაგრავი	4			
45	მელიქი შამიროვი	2			
46	აზნაური დავით ზავრიევი	1			
47	აზნაური ბაშბეუქოვი	6			
48	პოდპოლკოვნიკი ენაკოლოფოვი	24			
49	მინასაზოვი	2			
50	პორუჩიკი ელიოზოვი	3			4
51	ალმაზ სულთანოვი (ბაიდარის სულთანისშვილი)	5			
52	აღა სულთანოვი (ბაიდარის სულთანისშვილი)	3			
53	ივანე სულთანოვი (ბაიდარის სულთანისშვილი)	5			
54	მაჰმად უსეინ სულთანოვი (ბაიდარის სულთანისშვილი)	1			
55	ნაბი ბეგ სულთანოვი (ბაიდარის სულთანისშვილი)	8			
56	ალავერდი ბეგოვი	1			
57	ყულიევი	3			10
58	ტიტულარნი სოვეტნიკი ივანე გამაზოვი	60			
59	მუსტაფა ედიგაროვი	25	10	2	8
60	მირზა რაბიევი	2			2
61	აზნაური ნინია კაბაევი	8			
62	სეიდ კოჯალი	15	2		
63	ბერო პავლიევი	2			
64	აზნაური ასლამაზოვი	1			
65	აზნაური მღვდელი თურქესტანიშვილი (Туркестанов)	1			
66	აზნაური აღალო ყორღანაშვილი (Корганов)	1			
67	აზნაური ივანე ყორღანაშვილი	1			
68	აზნაური ფარსადან ყორღანაშვილი	2			
		823	174	32	49
					სულ – 1078

ცხრილი №3

ბორჩალოს დისტანციის საეკლესიო კომლები, მათი რაოდენობა და განაწილება 1817 წელს

	სხვადასხვა კონფესიის ეკლესიასთან ვალდებული გლეხები	კომლი	„მეუმლეებელი“	„მსახური“	„ხიზანი“
1	საეკლესიო	55	20		2
2	მონასტრის	1			
3	ეჩმიაძინის	1			

ცხრილი №4
ბორჩალოს დისტანციაში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა და მათი განაწილება, ეროვნებების მიხედვით 1817 წელს

ქართველი		სომეხი				თათარი	
გვარები – შვილი, ძე, ოვი		*გვარები – ოვი*		*გვარები – შვილი*		*პატრონიმი – ოღლი*	
მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
398	419	2221	2073	604	588	5331	4841
		4294		1192			
817		5486				10172	
							სულ – 16475

მოსახლეობის განაწილება, ეროვნებების მიხედვით პროცენტებში



ცხრილი №5

1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა (გამრეკელი, ცქიტიშვილი, 1973: 144-155)	
მხარე	კომლების რაოდენობა
დემურჩი ასანლუ (თათრები, ხიზნები)	1000
ბაიდარი (თათრები)	200
ბორჩალო და ბამბაკის ხეობა (სომხები)	2560
სულ	3760

ცხრილი №6

საქართველოს მთავარმართებლის სახაზინო ექსპედიციის გენერალური უწყება, 1806 წ. (АКАК, 1869: 714)													
ბორჩალოს დისტანციის მოსახლეობა												სულ	
სახაზინო გლეხობა						მემამულეების		ეკლესიისა და მონასტრის		კათოლიკოსის			
ქართველი და სომეხი		თათარი		სულ									
კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
264	198	440	422	704	620	3598	3315	14	9	164	135	4480	4079
462		862				6913		23		299		8559	

ცხრილი №7

მესამე კამერალური აღწერა. 1832 წ. (Обозрение, IV, 1836: 361)								
ადმინისტრაციული ერთეული	სოფლების რაოდენობა	კომლი	ეროვნება					მოსახლეობა
			ქართველი	სომეხი	ბერძენი	გერმანელი	თათარი	სულ
ბორჩალოს დისტანცია	145	4092	669	3634	767	213	8479	**13762**
ბამბაკ-შურაგელის დისტანცია	105	4897		15913	169		546	**16628**
წალკის ოკრუგი	23	778		654	1916			**2570**

ცხრილი №8

ბორჩალოს დისტანციის მოსახლეობა (1804, 1817 და 1832 წლების მონაცემების შედარება)

1804					1817					1832				
პირველი კამერალური აღწერა (ბორჩალოს დისტანცია) (იხ. АКАК, 1869: 714)					მეორე კამერალური აღწერა (ბორჩალოს დისტანცია) (სეასცა, ფ. 254, ან. 1, ს. №479)					მესამე კამერალური აღწერა (ბორჩალოს დისტანცია) (Обозрение, IV, 1836: 361)				
მოსახლეობის სულადობრივი რაოდენობა და განაწილება					კომლი	მოსახლეობის სულადობრივი რაოდენობა ეროვნების მიხედვით				კომლი	მოსახლეობის სულადობრივი რაოდენობა ეროვნების მიხედვით			
სახაზინო		მემამულეების	ეკლესიის	კათალიკოსის		ქართველი	სომეხი		თათარი		ქართველი	სომეხი	ბერძენი	გერმანელი	თათარი
ქართველი და სომეხი	თათარი						ოვი	ზვილი							
462	862														
1324		6913	23	299		817	4294	1192	10172		669	3634	767	213	8479
8559						16475					13762				